ს ს ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02-11-2015 №219

თბილისი

სტუ-ს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორის ვაკანტური თანამდებობის
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ოქტომბრის # 04-04-106/62 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებელი დანართი №1-ით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 10 ნოემბერს და დასრულდეს 2015 წლის 17 ნოემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში ყოველ დღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10^{00}-დან 17^{00}-მდე. (მის: სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. #1 (ყოფილი ჭანტურიას ქ. #1), საკონტაქტო პირი - თეიმურაზ იაშვილი ტელ: 2 13 08 65 597 992 553);
3. არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 18 ნოემბერს.
4. განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) ინსტიტუტის პროფილით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) სამოქმედო პროგრამა.